ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ორგანიზება და ჩატარება

დამხმარე ინსტრუქცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

2022 წელი

დამხმარე ინსტრუქცია მომზადებულია სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებისა და საჯარო სკოლების მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებების საფუძველზე.

დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა, გზამკვლევის დანიშნულება აქვს და მასში ასახულია საჯარო სკოლების მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების საორგანიზაციო-პროცედურული საკითხები, რაც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლების ადმინისტრაციას, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს არჩევნების ორგანიზებაში.

დამხმარე ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან პარტნიორობით განსახორციელებელი საპილოტე პროექტისთვის „ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განლაგებულ საჯარო სკოლებში თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების ხელშეწყობა“. პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდების საარჩევნო კულტურის განმტკიცებას.

პროექტს ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელიც მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩასატარებლად უზრუნველყოფს საპილოტე პროექტისთვის შერჩეული საჯარო სკოლების აღჭურვას საარჩევნო ინვენტარით (ფარული კენჭისყრის კაბინები და საარჩევნო ყუთები).

სარჩევი

I. ზოგადი ინფორმაცია სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის როლისა და ფუნქციის შესახებ..4

II. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნა და არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპები 5

III. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებისთვის საარჩევნო კომისიების ფორმირება..... 5

IV. საარჩევნო სიების შედგენა 8

V. კანდიდატების რეგისტრაცია, რეგისტრაციის გაუქმება და კანდიდატის მიერ კანდიდატურის მოხსნა. წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება 8

VI. დამკვირვებლების რეგისტრაცია. განცხადების/საჩივრის წარდგენა 10

VII. საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვა..... 11

VIII. კენჭისყრის ოთახის მოწყობა 12

IX. არჩევნების დღე 13

I. ზოგადი ინფორმაცია სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის როლისა და ფუნქციის შესახებ

სკოლის სტრუქტურა მოიცავს:

- ✓ პედაგოგიურ საბჭოს;
- ✓ სამეურვეო საბჭოს;
- ✓ დირექციას;
- ✓ მოსწავლეთა თვითმმართველობას;
- ✓ დისციპლინურ კომიტეტს.

მოსწავლეთა თვითმმართველობა არის ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და სკოლის წესდების თანახმად არჩეული ორგანო. იგი წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს. საბაზო და საშუალო საფეხურების (VII-XII კლასი) მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობებს. მოსწავლეთა თვითმმართველობას ხელმძღვანელობს თვითმმართველობის მიერ არჩეული თავმჯდომარე.

მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითადი ამოცანაა, ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებასა და მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას. ამ მიზნით მოსწავლეთა თვითმმართველობის ახორციელებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

- ✓ უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები მოსწავლეთათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით;
- ✓ უფლებამოსილია მოსწავლეთა ინტერესების და მათი უფლებების დაცვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შუამდგომლობით მიმართოს სკოლის დირექციას, მათ შორის, გამორჩეული მოსწავლეების წახალისების საკითხთან დაკავშირებით;
- ✓ ხელს უწყობს სხვადასხვა საგანმანათლებლო ან სხვა ტიპის ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვა/ორგანიზებას, რაც მიზნად ისახავს: თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას; მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებას; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას; მოსწავლეებში კულტურულ ფასეულობათა მიმართ პატივისცემის განმტკიცებას; მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობას;
- ✓ წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს და ხელს უწყობს არსებული სასკოლო კლუბების აქტიურ მუშაობას;
- ✓ სკოლის წესდებით დადგენილი წესით მონაწილეობს მოპოვებული გრანტის განკარგვაში;
- ✓ განახორციელებს ადმინისტრაციულ ფუნქციას, რაც გამოიხატება შემდეგში: უფლებამოსილია შეიმუშაოს რეკომენდაციები სკოლის შინაგანაწესთან დაკავშირებით; ირჩევს თავის წარმომადგენელს სკოლის სამეურვეო საბჭოში და მისი მეშვეობით მონაწილეობს აღნიშნული საბჭოს მუშაობაში; წარმომადგენლის მეშვეობით ასევე მონაწილეობს სკოლის დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში.

II. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნა და არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპები

მოსწავლეთა თვითმმართველობა უფლებამოსილებას ახორციელებს მომდევნო სასწავლო წელს სამეურვეო საბჭოს მიერ მოსწავლეთა შესაბამისი თვითმმართველობის ახალი არჩევნების დანიშვნა/ჩატარებამდე.

მოსწავლეთა თვითმმართველობების არჩევნების ჩატარების თარიღს ნიშნავს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე (თუ სკოლის დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი).

მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ტარდება თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, გამჭვირვალობისა და კლასების მიხედვით მოსწავლეთა თანაბარი წარმომადგენლობის **პრინციპების დაცვით.**

III. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებისთვის საარჩევნო კომისიების ფორმირება

მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად საჯარო სკოლაში იქმნება საარჩევნო კომისია/კომისიები.

არსებობს საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების რამდენიმე მოდელი:

- ✓ **საკლასო საარჩევნო კომისიები** - ასეთ შემთხვევაში თითოეული კლასისთვის ცალ-ცალკე იქმნება საარჩევნო კომისია (კომისიაში სამ წევრზე ნაკლები არ უნდა იყოს), ყოველ კლასში ეწყობა ცალკე საარჩევნო უბანი, საკუთარი საარჩევნო ყუთით და სხვა ატრიბუტიკით;
- ✓ **პარალელური კლასებისთვის შექმნილი საარჩევნო კომისიები** - ასეთ შემთხვევაში რამდენიმე განაყოფი (პარალელური) კლასისთვის იქმნება ცალკე საარჩევნო უბანი თავისი საარჩევნო კომისიით. ასეთ შემთხვევებში თითო პარალელური კლასიდან საარჩევნო კომისიაში შევა თითო წარმომადგენელი (თუ პარალელური კლასი მხოლოდ ორია, კლასიდან საარჩევნო კომისიაში ორი წევრი შევა, რადგან კომისიაში სამ წევრზე ნაკლები არ უნდა იყოს). კლასების დაჯგუფება შესაძლებელია საბაზო და საშუალო საფეხურების მიხედვითაც;
- ✓ **ერთიანი სასკოლო საარჩევნო კომისია** - ასეთ შემთხვევებში ყველა კლასისთვის იქმნება ერთი საარჩევნო კომისია (მის შემადგენლობაში შედის ყველა კლასის თითო წარმომადგენელი; კომისიაში სამ წევრზე ნაკლები არ უნდა იყოს), მთელ სკოლაში იქმნება ერთი საარჩევნო უბანი, საარჩევნო ყუთით და სხვა ატრიბუტიკით.

პროექტის ფარგლებში ჩართულ საჯარო სკოლებში 2022 წელს დანიშნული მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებისთვის გამოიყენება საარჩევნო კომისიების ფორმირების მესამე მოდელი - **ერთიანი სასკოლო საარჩევნო კომისია**.

ერთიანი სასკოლო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება ხორციელდება შემდეგი პროცედურის დაცვით: საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შედის საბაზო და საშუალო საფეხურის კლასის თითო წარმომადგენელი, მათ შორის, თითოეული პარალელური კლასიდან ასეთის არსებობის

შემთხვევაში. კლასიდან საარჩევნო კომისიის წევრად შესაძლებელია აირჩეს ამ კლასის ნებისმიერი ერთი მოსწავლე.

საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა კლასიდან საარჩევნო კომისიის თითო წევრის გამოსავლენად სამოქალაქო განათლების ან ისტორიის გაკვეთილზე მასწავლებლის დახმარებით ტარდება ფარული რეიტინგული გამოკითხვა.

ფარული რეიტინგული გამოკითხვა ტარდება შემდეგი წესით:

- ☐ მოსწავლეები ასახელებენ კანდიდატებს, შესაძლებელია საკუთარი კანდიდატურის დასახელებაც;

გასათვალისწინებელია, რომ თუკი კომისიის წევრობა სურს მხოლოდ ერთ კანდიდატს, მაშინ კომისიის წევრის მოვალეობას აღნიშნული კანდიდატი შეასრულებს და მისი არჩევის პროცედურა აღარ გაიმართება.

- ☐ მასწავლებელი ფარული რეიტინგულ გამოკითხვაში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის ფურცლებს, რომელზეც წერს კომისიის ყველა წევრობის კანდიდატის სახელსა და გვარს;
- ☐ მასწავლებელი აღნიშნულ ფურცლებს ურიგებს მოსწავლეებს. თითოეულმა მოსწავლემ უნდა შემოხაზოს მისთვის სასურველი მხოლოდ ერთი კანდიდატის ვინაობა (სახელი, გვარი); ფურცელი უნდა გადაკეცოს იმგვარად, რომ არ ჩანდეს მისი არჩევანი;
- ☐ მასწავლებელი ითვლის და აჯამებს ფარული რეიტინგული გამოკითხვის შედეგებს. კომისიის წევრი გახდება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ყველაზე მეტ ხმას;
- ☐ თუ სარეიტინგო გამოკითხვის შედეგად კომისიის წევრთა კანდიდატებიდან კომისიის წევრი ვერ გამოვლინდა ხმათა თანაბრობის გამო, მოეწყობა ფარული სარეიტინგო გამოკითხვის მეორე ტური მხოლოდ იმ კანდიდატების მონაწილეობით, რომლებმაც ფარული სარეიტინგო გამოკითხვის პირველ ტურში ყველაზე მაღალი თანაბარი ქულები დააგროვეს.

<u>ყურადღება!</u>

- ✓ მასწავლებელმა უნდა განუმარტოს მოსწავლეებს, რომ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით საარჩევნო კომისიის წევრად არჩეულ მოსწავლეს აღარ ექნება მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრობის კანდიდატად ნომინაციის უფლება.
- ✓ მნიშვნელოვანია, ერთიანი სასკოლო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისთვის მასწავლებლებმა მოახდინონ კლასების მიხედვით ჩატარებული ფარული რეიტინგული გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საარჩევნო კომისიების წევრების შესახებ მონაცემების კონსოლიდაცია. რეკომენდებულია, კომისიის შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია, კომისიის პირველი სხდომის გამართვის თარიღი, ადგილი გასაჯაროვდეს სკოლაში და ინფორმაცია მიეწოდოთ კომისიის წევრებს.

საარჩევნო კომისია მუშაობას იწყებს პირველი სხდომის მოწვევისთანავე. კომისია პირველივე სხდომაზე ღია კენჭისყრით ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის მდივანს. თავმჯდომარის და მდივნის კანდიდატურების დასახელება შეუძლია კომისიის ნებისმიერ წევრს (შესაძლებელია როგორც საკუთარი კანდიდატურის დასახელება). დასახელებულ კანდიდატებს რიგ-რიგობით ეყრებათ კენჭი (შესაძლებელია საკუთარი კანდიდატურისათვის ხმის მიცემა). არჩეულად ჩაითვლება

კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის წევრთა უმრავლესობა. თუ კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არჩევა ვერ მოხერხდა, ხელახალი კენჭისყრა არ გაიმართება. ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარის და მდივნის ფუნქციის მინიჭება განხორციელდება კომისიის სხვა წევრთა ფუნქციების მინიჭების მიზნით გასამართი წილისყრის მეშვეობით.

კომისიის პირველ სხდომაზე წილისყრით ნაწილდება შემდეგი ფუნქციები:

- ☐ ნაკადის მომწესრიგებელი - ერთი წევრი;
- ☐ საარჩევნო ყუთის ზედამხედველი - ერთი წევრი;
- ☐ რეგისტრატორი - რაოდენობა დამოკიდებულია კომისიის წევრთა რაოდენობაზე:
  - ✓ თუ კომისია სამი წევრისგან შედგება, ასეთ შემთხვევაში კომისიის მდივანი შეითავსებს რეგისტრატორის ფუნქციას, თავმჯდომარე შეითავსებს საარჩევნო ყუთზე ზედამხედველის ფუნქციას, ხოლო მესამე წევრს ავტომატურად, წილისყრის გარეშე, მიენიჭება ნაკადის მომწესრიგებლის ფუნქცია;
  - ✓ თუ კომისია ოთხი წევრისგან შედგება, ასეთ შემთხვევაში წილისყრით გამოვლინდება ნაკადის მომწესრიგებელი და საარჩევნო ყუთის ზედამხედველი, ხოლო რეგისტრატორის ფუნქციას ითავსებს კომისიის მდივანი;
  - ✓ თუ კომისია ხუთი წევრისგან შედგება, ასეთ შემთხვევაში წილისყრით გამოვლინდება ერთი რეგისტრატორი; მეორე რეგისტრატორის ფუნქცია შეიძლება შეითავსოს კომისიის მდივანმა;
  - ✓ თუ კომისია ექვსი წევრისგან შედგება, ასეთ შემთხვევაში წილისყრით გამოვლინდება ორი რეგისტრატორი;
  - ✓ თუ კომისია ექვსზე მეტი წევრისგან შედგება, ასეთ შემთხვევაში წილისყრით გამოვლინდება მინიმუმ სამი რეგისტრატორი.

<u>ყურადღება!</u>
ნაკადის მომწესრიგებლის, საარჩევნო ყუთის ზედამხედველის, რეგისტრატორის გამოვლენის მიზნით ჩასატარებელ წილისყრაში არ მონაწილეობენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

ფუნქციების წილისყრით განაწილების საჭიროების შემთხვევაში, წილისყრა ტარდება შემდეგი პროცედურის შესაბამისად:

- ☐ კომისიის თავმჯდომარე წილისყრაში მონაწილე კომისიის წევრების რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის ფურცლებს, რომელზეც წერს გასანაწილებელი ფუნქციების დასახელებას;

<u>ყურადღება!</u> იმ შემთხვევაში, თუ კომისიამ ვერ აირჩია კომისიის თავმჯდომარე ან/და კომისიის მდივანი, წილისყრის ფურცლებზე ასევე დაიტანება შესაბამისი ფუნქციის დასახელება: „კომისიის თავმჯდომარე“, „კომისიის მდივანი“. ამ შემთხვევაში წილისყრის პროცესს წარმართავს კომისიის ერთ-ერთი წევრი.

- ☐ კომისიის თავმჯდომარე/კომისიის წევრი წილისყრის ფურცლებს კეცავს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს წარწერის წაკითხვა. ფურცლებს განათავსებს მაგიდაზე, წილისყრაში მონაწილე კომისიის წევრები რიგ-რიგობით იღებენ წილისყრის ფურცლებს. კომისიის წევრი არჩევნების დღეს ასრულებს იმ ფუნქციას, რომელიც წილისყრით შეხვდა.

კომისიის წევრთა ფუნქციების გამოვლენის შემდეგ კომისიის მდივანი ხსნის და აწარმოებს „საარჩევნო ჟურნალს“. ჟურნალში ჩაიწერება კომისიის წევრთა სახელები და შესაბამისი ფუნქციები. საარჩევნო ჟურნალში შეიტანება ყველა განცხადება/საჩივარი როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე კენჭისყრის დღეს.

საარჩევნო კომისია პირველივე სხდომაზე ადგენს კომისიის **სამუშაო გრაფიკს**, საქმიანობებისა და ვადების მითითებით. გრაფიკში უნდა გაიწეროს შემდეგი ძირითადი კომპონენტები:

- ☐ ამომრჩეველთა სიების შედგენა;
- ☐ კანდიდატთა რეგისტრაცია;
- ☐ კენჭისყრის შენობის მოწყობა;
- ☐ არჩევნების ჩატარების დღე - კენჭისყრის დაწყებისა და დასრულების დრო.

რეკომენდებულია, სკოლის ადმინისტრაციამ გამოყოს საარჩევნო-საინფორმაციო დაფა, სადაც გამოიკვრება: ყველა კლასის ამომრჩეველთა საარჩევნო სია; ასარჩევ კანდიდატთა სია; განცხადების/საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოს შესახებ ინფორმაცია (სამუშაო საათები, განთავსების ადგილი ან სხვა საკონტაქტო მონაცემები, რომელიც შესაძლებელს გახდის საჭიროების შემთხვევაში მოხდეს განცხადების/საჩივრის წარდგენა); არჩევნების თარიღი, კენჭისყრის დაწყებისა და დასრულების დრო.

IV. საარჩევნო სიების შედგენა

საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების შემდეგ იწყება საარჩევნო სიების შედგენაზე მუშაობა. საარჩევნო სიის შედგენას უზრუნველყოფს საარჩევნო კომისია. არჩევნებისთვის ყოველი კლასის სია შედგება ცალ-ცალკე, შესაბამისი კლასის საკლასო ჟურნალის საფუძველზე ორ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი განკუთვნილია საჯარო გაცნობისთვის, მეორე კომისიისთვის, კენჭისყრის პროცესის წარმართვის უზრუნველსაყოფად).

<u>**ყურადღება!**</u> სიის ჩამოყალიბებისათვის კომისიამ უნდა შეამოწმოს, არის თუ არა ასახული ჟურნალში კლასში მოსწავლის გადმოსვლის ან კლასიდან გადასვლის ფაქტი (რეკომენდებულია თითოეული კლასის დამრიგებელთან ამ ინფორმაციის გადამოწმება).

დაზუსტებულ სიას ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. სიის ერთი ეგზემპლარი იკვრება საჯარო სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საარჩევნო-საინფორმაციო დაფაზე.

V. კანდიდატების რეგისტრაცია, რეგისტრაციის გაუქმება და კანდიდატის მიერ კანდიდატურის მოხსნა. წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება

კლასის ყველა მოსწავლეს, საარჩევნო კომისიის წევრის გარდა, უფლება აქვს დარეგისტრირდეს კანდიდატად. თუ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კანდიდატმა რეგისტრაციისათვის განცხადებით უნდა მიმართოს საარჩევნო კომისიას (შესაძლებელია სკოლის დებულება ითვალისწინებდეს კანდიდატის რეგისტრაციისთვის კლასის დამრიგებელთან ან სკოლის დირექტორთან განცხადების წარდგენის პროცედურას).

განცხადებაში უნდა მიეთითოს კანდიდატის სახელი, გვარი, კლასი (პარალელური კლასების არსებობისას საჭიროა განცხადებაში დაკონკრეტდეს თუ რომელი კლასიდან არის წარმოდგენილი კანდიდატი). **რეკომენდებულია**, განცხადება შეიცავდეს კანდიდატის თანხმობას მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის შესახებ.

კანდიდატი დარეგისტრირებულად ითვლება მას შემდეგ, რაც კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი საარჩევნო ჟურნალში გააკეთებს შესაბამის ჩანაწერს. კანდიდატის დარეგისტრირების შემდეგ, მას გადაეცემა კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით დამოწმებული **სარეგისტრაციო ფურცელი**, რითაც დასტურდება, რომ მოსწავლე კანდიდატად რეგისტრირებულია.

საარჩევნო კომისიაში კანდიდატად რეგისტრაციის გავლისთანავე კანდიდატებს შეუძლიათ დაიწყონ წინასაარჩევნო კამპანია. ამ მიზნით კანდიდატებს შეუძლიათ დაბეჭდონ და გაავრცელონ საკუთარი პროგრამები.

წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისათვის დასაშვებია ნებისმიერი სამართლიანი მეთოდი. არ შეიძლება მოსყიდვის, შანტაჟის, იძულების, მუქარის და სხვა ძალადობრივი ხერხების გამოყენება. თუ ასეთი შემთხვევები გამოვლინდა და დადასტურდა, საარჩევნო კომისია **აუქმებს ასეთი კანდიდატის რეგისტრაციას.**

მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში არ იქნეს გამოყენებული სიძულვილის ენა[1].

ყურადღება!

- ✓ თუ მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრობის კანდიდატის რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ ვადაში კლასიდან არ მოხდება კანდიდატის წარდგენა, აღნიშნული კლასის მოსწავლეები არ იღებენ მონაწილეობას მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში.
- ✓ იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ კლასიდან წარდგენილია მხოლოდ ერთი კანდიდატი და საარჩევნო კომისია შესაბამისი საფუძვლით გააუქმებს მის საარჩევნო რეგისტრაციას, ან კანდიდატი მოხსნის თავის კანდიდატურას.

რეკომენდებულია, წინასწარ იყოს განსაზღვრული კანდიდატის მიერ კანდიდატურის მოხსნის ვადა, მაგალითად შესაძლებელია დადგინდეს, რომ კანდიდატს თავისი კანდიდატურის მოხსნა შეუძლია არჩევნებამდე არაუგვიანეს სამი დღისა. ვადის ამოწურვის შემდგომ კანდიდატურის მოხსნა არ დაიშვება და საარჩევნო კომისიას კანდიდატი შეჰყავს ბიულეტენში. ასეთი რეგულაციის დადგენა შესაძლებლობას მისცემს საარჩევნო კომისიას, ამობეჭდოს მხოლოდ იმ კლასის ამომრჩეველთა სია და ბიულეტენები, რომელსაც ჰყავს საარჩევნო კანდიდატი და შესაბამისად მონაწილეობს არჩევნებში.

- ✓ კლასიდან მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრობის კანდიდატის წარუდგენლობა, კანდიდატისთვის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება, ან კანდიდატის მიერ კანდიდატურის

[1] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმარტებით სიძულვილის ენა არის ნებისმიერი სახის ზეპირი/წერილობითი კომუნიკაცია ან ქცევა, რომელიც თავს ესხმის ან იყენებს დამამცირებელ/დისკრიმინაციულ ენას ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიმართ, მათი ვინაობის საფუძველზე (მათი რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნების, რასის, კანის ფერის, წარმოშობის, გენდერის ან იდენტობასთან დაკავშირებული სხვა ფაქტორის გამო).

მოხსნა არ ახდენს გავლენას დაკომპლექტებული საარჩევნო კომისიის წევრთა მანდატზე, საარჩევნო კომისია სრული შემადგენლობით აგრძელებს ფუნქციონირებას არჩევნების ჩასატარებლად.

VI. დამკვირვებლების რეგისტრაცია. განცხადების/საჩივრის წარდგენა

დამკვირვებლები არიან საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც აკვირდებიან, რამდენად სამართლიანად და გამჭვირვალედ ტარდება არჩევნები. სკოლებში დამკვირვებლებად შეიძლება მოწვეულ იქნენ არასამთავრობო ორგანიზაციები.

დამკვირვებლობის მსურველმა ორგანიზაციებმა წინასწარ უნდა მიმართონ საარჩევნო კომისიას რეგისტრაციის მიზნით. კომისია მათ ატარებს რეგისტრაციაში (ორგანიზაციის დასახელება და დამკვირვებელთა მონაცემები შეიტანება საარჩევნო ჟურნალში) და გადასცემს სამკერდე ნიშნებს წარწერით „დამკვირვებელი“.

დამკვირვებლებს უფლება აქვთ დააკვირდნენ საარჩევნო პროცესს ისე, რომ არ ჩაერიონ არჩევნების პროცესში და ხელი არ შეუშალონ საარჩევნო კომისიის წევრების საქმიანობას. წინასაარჩევნო პერიოდში ან არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე გამოვლენილი დარღვევის შესახებ დამკვირვებელს უფლება აქვს დაწეროს განცხადებები/საჩივრები. დამკვირვებლების გარდა, საარჩევნო პროცესში გამოვლენილ დარღვევებზე განცხადების/საჩივრის წარდგენის უფლება აქვს კლასის **მოსწავლეს**[2].

მომჩივანთა წრის განსაზღვრასთან ერთად, რეკომენდებულია გაიმიჯნოს საკითხები, რომელსაც განცხადების/საჩივრის საფუძველზე განიხილავს საარჩევნო კომისია და საჯარო სკოლის დირექცია/სამეურვეო საბჭო.

საარჩევნო კომისია - მის განსჯადობას შეიძლება მიეკუთვნებოდეს ისეთი განცხადების/საჩივრის განხილვა, რომელიც ეხება კენჭისყრის დღეს კენჭისყრის პროცედურების დარღვევას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ/კომისიამ **მყისიერად** მოახდინოს სათანადო რეაგირება განცხადებაზე/საჩივარზე და აღმოფხვრას არსებული დარღვევა.

იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/კომისია არ აღმოფხვრის დარღვევას ან სხვაგვარი ფორმით უარს განაცხადებს მოახდინოს რეაგირება განცხადებაზე/საჩივარზე, განცხადების/საჩივრის წარმდგენ პირს უფლება აქვს საარჩევნო კომისიის მიერ საქმიანობის მართლზომიერად განხორციელების საკითხის შესწავლის მიზნით მიმართოს საჯარო სკოლის დირექციას/სამეურვეო საბჭოს.

საჯარო სკოლის დირექციის/სამეურვეო საბჭო - მის განსჯადობას შეიძლება მიეკუთვნებოდეს ისეთი განცხადების/საჩივრის განხილვა, რომელიც ეხება:

- ✓ არჩევნების დღემდე პერიოდში და არჩევნების დღეს საარჩევნო კომისიის მიერ საქმიანობის მართლზომიერად განხორციელების საკითხის შესწავლას (მაგალითად: საარჩევნო კომისიის მიერ კანდიდატის რეგისტრაცია; საარჩევნო კომისიის მიერ კანდიდატისთვის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება; საარჩევნო კომისიის მიერ ამომრჩეველთა სიების, რეგისტრირებულ

[2] უფლებების დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, საჩივრების წარმდგენი უფლებამოსილი პირების წრეში უნდა მოიაზრებოდეს მოსწავლე, რომელიც საარჩევნო პროცესში მონაწილეობს როგორც ამომრჩეველი ან კანდიდატი.

კანდიდატთა შესახებ სიების შედგენა/გასაჯაროება; საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის დღეს კენჭისყრის პროცედურების შესრულება; არჩევნების შემაჯამებელი ოქმის შედგენა);

- ✓ სააგიტაციო მასალების გავრცელებისთვის ხელის შეშლის ფაქტების შესწავლას (სააგიტაციო მასალების ჩამოხევა, გადაკვრა, ან სხვაგვარი დაზიანება).

საჯარო სკოლის დირექციამ/სამეურვეო საბჭომ მანდატის შესაბამისად **დაუყოვნებლივ** უნდა უზრუნველყოს განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება, ან დაავალოს საარჩევნო კომისიას უფლებამოსილების შესაბამისად გაატაროს დარღვევის აღმოფხვრის ღონისძიებები.

რეკომენდებულია ასევე განისაზღვროს განცხადების/საჩივრის წარდგენის ვადები. მაგალითად: შესაძლებელია დადგინდეს, რომ განცხადების/საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოსთვის განცხადების/საჩივრის წარდგენა უნდა მოხდეს **დარღვევის გამოვლენისთანავე**. წერილობით შედგენილ განცხადებაში/საჩივარში აღწერილი უნდა იყოს დამრღვევის მონაცემები (ასეთის არსებობისას), დარღვევის არსი და მისი გამოვლენის დრო. განცხადების/საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს განცხადების/საჩივრის დარეგისტრირება და განცხადებაში/საჩივარში მითითებული დარღვევის აღმოფხვრის შემთხვევაში დამდგარი შედეგის მითითება.

VII. საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვა

არჩევნების მომზადების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვა. საარჩევნო კომისია, საჯარო სკოლის ადმინისტრაციის მეშვეობით, საარჩევნო ბიულეტენებსა და შემაჯამებელ ოქმებს ბეჭდავს არჩევნებამდე ერთი დღით ადრე მაინც.

რეკომენდებულია:

- ✓ საარჩევნო ბიულეტენები დაიბეჭდოს ნიმუშის შესაბამისად, ყოველი კლასის მიხედვით შედგენილ ამომრჩეველთა სიაში რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობაზე 5-6 ეგზემპლარით მეტი, რათა კენჭისყრის დღეს გაფუჭებული ბიულეტენის ნაცვლად კომისიას ჰქონდეს ახალი ბიულეტენის გაცემის შესაძლებლობა.
- ✓ ყოველი კლასისთვის დაიბეჭდოს განსხვავებული ფერის ბიულეტენი, მათი დახარისხებისა და დათვლის პროცესის გამარტივების მიზნით.



ბიულეტენის ნიმუში

სკოლა _____ კლასი _____

სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები

შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი კანდიდატის ნომერი

1. ნესტან-დარეჯანი
2. ივანე მხარგრძელი
3. მაია წყნეთელი
4. გიორგი სააკაძე

არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი უნდა დაიბეჭდოს იმდენი ეგზემპლარი, რამდენი კლასიც იღებს მონაწილეობას არჩევნებში.

ნიმუში

სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები
კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი

სკოლა _____ კლასი _____

სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა _____

არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა _____

ბათილი ბიულეტენების რაოდენობა _____

მიცემულ ხმათა რაოდენობა

_____

_____

_____

_____

არჩეული კანდიდატის სახელი და გვარი:

_____

თავმჯდომარე:
მდივანი:
კომისიის წევრ(ებ)ი:

თარიღი:

VIII. კენჭისყრის ოთახის მოწყობა

საარჩევნო კომისიის წევრებმა კენჭისყრის ოთახი უნდა მოაწყონ წინასწარ (რეკომენდებულია ერთი დღით ადრე, თუმცა, თუ ამის შესაძლებლობა არ არის, კენჭისყრის ოთახის მოწყობა უნდა მოხდეს კენჭისყრის დღეს კენჭისყრის დაწყებამდე გარკვეული დროით ადრე).

საარჩევნო კომისიამ კენჭისყრის ოთახში უნდა განათავსოს:

- ☐ ამომრჩეველთა სარეგისტრაციო მაგიდები, რეგისტრატორების რაოდენობის გათვალისწინებით. მაგიდების წინ იკვრება კლასების ნუმერაცია, რომელსაც მოემსახურება რეგისტრატორი/ რეგისტრატორები. მაგიდებზე უნდა განთავსდეს შესაბამისი რეგისტრატორისთვის განკუთვნილი ამომრჩეველთა სიები (კლასების მიხედვით) და საწერ-კალმები (საჭიროების შემთხვევაში რეგისტრატორს შეიძლება გადაეცეს ერთზე მეტი კლასის ამომრჩეველთა სია);
- ☐ აწყობილი, დაულუქავი გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი;

კენჭისყრის ოთახის მოწყობის ნიმუში



- ☐ ფარული კენჭისყრის კაბინა (სასურველია ორი კაბინა), რომელშიც უნდა განთავსდეს საწერ-კალამი ამომრჩევლის მიერ ბიულეტენის შესავსებად.

გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი კენჭისყრის ოთახში თვალსაჩინო ადგილას ისე უნდა იყოს მოთავსებული, რომ ამომრჩეველი დაუბრკოლებლად მივიდეს მასთან ბიულეტენის ყუთში მოსათავსებლად.

IX. არჩევნების დღე

საჯარო სკოლაში არჩევნები ტარდება წინასწარ საჯაროდ გაცხადებულ თარიღში. ხმის მიცემის პროცესი იწყება 13:30 საათიდან და სრულდება 14:30 საათზე[3].

საარჩევნო კომისიის წევრები კენჭისყრის ოთახში უნდა გამოცხადდნენ ხმის მიცემის პროცესის დაწყებამდე 10 წუთით ადრე მაინც, საორგანიზაციო საკითხების უზრუნველსაყოფად.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

- ☐ კომისიის წევრებს მიუთითებს დაიკავონ ადგილები წინასწარ განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად;
- ☐ კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირებთან ერთად ამოწმებს საარჩევნო ყუთს და მას შემდეგ რაც დარწმუნდებიან, რომ ყუთი ცარიელია, ლუქავს მას (დალუქვა შესაძლებელია მოხდეს წებვადი ფურცლების გამოყენებით);
- ☐ რეგისტრატორებს გადასცემს საწერ-კალმებს, ამომრჩეველთა სიებს და საარჩევნო ბიულეტენებს (რეგისტრატორს ამომრჩეველთა სია და ბიულეტენები გადაეცემა რეგისტრატორის მაგიდაზე კლასების შესახებ გამოკრული ინფორმაციის მიხედვით).

საარჩევნო კომისიის წევრების გარდა, კენჭისყრის დღეს კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლება აქვთ დამკვირვებლებს და საჯარო სკოლის დირექციის უფლებამოსილ წარმომადგენლებს.

ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობის მისაღებად საარჩევნო კომისიის წევრები ასრულებენ შემდეგ ფუნქციებს:

ნაკადის მომწესრიგებელი:

- ☐ არეგულირებს კენჭისყრის ოთახში შემომსვლელ ამომრჩეველთა ნაკადს;
- ☐ თვალყურს ადევნებს რამდენი ამომრჩეველი დგას ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან. თუ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორი ამომრჩეველი დგას, დროებით აყოვნებს კენჭისყრის ოთახში მორიგი ამომრჩევლის შესვლას;
- ☐ მიუთითებს ამომრჩეველს, მივიდეს იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელზეც გამოკრულია მისი კლასის აღმნიშვნელი შესაბამისი ინფორმაცია.

რეგისტრატორი:

- ☐ ამოწმებს ამომრჩევლის მონაცემებს მის ხელთ არსებულ შესაბამისი კლასის ამომრჩეველთა სიაში;
- ☐ ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლის რეგისტრაციის დადასტურების შემდეგ, იღებს შესაბამისი კლასის ერთ საარჩევნო ბიულეტენს, ხელს აწერს უკანა მხარეს და გადასცემს ამომრჩეველს;

[3] ხმის მიცემის პროცესის დაწყებისა და დასრულების დრო (13:30 საათიდან-14:30 საათამდე) განსაზღვრულია საპილოტე პროექტის მიზნებისთვის.

- ☐ მიუთითებს ამომრჩეველს, ხელი მოაწეროს ამომრჩეველთა სიაში, რითაც ამომრჩეველი ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის მიღებას;
- ☐ მიუთითებს ამომრჩეველს შევიდეს ფარული კენჭისყრის კაბინაში და განუმარტავს საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესს.

<u>ყურადღება!</u>

- ✓ რეგისტრატორი ამომრჩეველს არ გადასცემს საარჩევნო ბიულეტენს, თუ აღნიშნულ ამომრჩეველს მონაწილეობა აქვს მიღებული კენჭისყრაში. რეგისტრატორმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია უნდა მიაწოდოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს, რომელსაც ამომრჩევლის სახელი და გვარი, გარემოების აღწერით, შეაქვს საარჩევნო ჟურნალში.
- ✓ თუ ხმის მიცემის პროცესში გამოვლინდა, რომ ამომრჩეველმა საარჩევნო სიაში ხელი მოაწერა სხვა ამომრჩევლის გვარის გასწვრივ არსებულ გრაფაში, ასეთ შემთხვევაში ამომრჩეველმა, რომლის გვარის გასწვრივ ფიქსირდება ხელმოწერა, ხელი უნდა მოაწეროს იმავე გრაფაში. ასეთი ამომრჩეველი მონაწილეობას იღებს ხმის მიცემის პროცესში და რეგისტრატორი დადგენილი წესით გადასცემს საარჩევნო ბიულეტენს. ფაქტთან დაკავშირებით რეგისტრატორმა ინფორმაცია უნდა მიაწოდოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს, რომელსაც ამომრჩევლის სახელი და გვარი, გარემოების აღწერით, შეაქვს საარჩევნო ჟურნალში.

ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში, საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზავს მისთვის სასურველ ერთი კანდიდატს და საარჩევნო ბიულეტენს კეცავს იმგვარად რომ არ გამოჩნდეს მისი არჩევანი.

<u>ყურადღება!</u>

- ✓ თუ ამომრჩეველი, ფიზიკური მდგომარეობის, კერძოდ, ზედა კიდურების არქონის, გამო ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების (საარჩევნო ბიულეტენის მიღებისას ხელის მოწერა, საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსება) დამოუკიდებლად შესრულებას, ამ შემთხვევაში ამომრჩევლისათვის საარჩევნო ბიულეტენის გადაცემისას რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა“ აკეთებს ჩანაწერს „ფიზიკური მდგომარეობა“ და ხელმოწერით ადასტურებს.
- ✓ ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსება, მას უფლება აქვს, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირი ნებისმიერი პირი (სხვა ამომრჩეველი), გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა და დამკვირვებლისა. აღნიშნული ამომრჩევლის ნაცვლად მისი თანდასწრებით საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული პირი, რომელიც დაეხმარება მას კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის შევსებაში.
- ✓ თუ ამომრჩეველს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, ამ ბიულეტენს გადასცემს კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის თავმჯდომარის მითითებით შესაბამისი რეგისტრატორი ამომრჩეველს გადასცემს რეგისტრატორის ხელმოწერით დამოწმებულ ახალ საარჩევნო ბიულეტენს. კომისიის თავმჯდომარე გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს ანადგურებს ხმის ფარულობის დაცვით. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კომისიის მდივანს ამომრჩევლის სახელი და გვარი, გარემოების აღწერით, შეაქვს საარჩევნო ჟურნალში.

საარჩევნო ყუთის ზედამხედველი:

- ☐ კენჭისყრის კაბინიდან გამოსულ ამომრჩეველს მიუთითებს, გადაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი მოათავსოს საარჩევნო ყუთში;
- ☐ ხმის მიცემის შემდეგ მიუთითებს ამომრჩეველს დატოვოს კენჭისყრის ოთახი.

<u>**ყურადღება!**</u> საარჩევნო ყუთის ზედამხედველმა კომისიის წევრმა უნდა გააკონტროლოს, რომ ამომრჩეველმა საარჩევნო ყუთში ერთზე მეტი ბიულეტენი არ ჩააგდოს.

ხმის მიცემის პროცესის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისია გადადის საარჩევნო ბიულეტენების დახარისხების, დათვლისა და არჩევნების შედეგების შეჯამების პროცესზე. ამ მიზნით ხორციელდება შემდეგი პროცედურა:

- ☐ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მითითებით რეგისტრატორები მათთვის გადაცემულ ამომრჩეველთა სიებში კლასების მიხედვით ითვლიან ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობას. დათვლილი მონაცემები კომისიის მდივანს შეაქვს შესაბამისი კლასის მიხედვით შესადგენ არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში (გრაფა - არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა);
- ☐ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირების თანდასწრებით, ამოწმებს საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობას. თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული არ არის, კომისია ხსნის საარჩევნო ყუთს და იწყებს ხმების დახარისხებასა და დათვლას;

<u>**ყურადღება!**</u>

თუ საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დარღვეულია, კომისია ადგენს ამის მიზეზს:

- ✓ თუ საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობის დარღვევა ეჭვქვეშ არ აყენებს არჩევნების შედეგებს, კომისია ხსნის საარჩევნო ყუთს და იწყებს ხმების დათვლის პროცედურას;
- ✓ თუ საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობის დარღვევა ეჭვქვეშ აყენებს არჩევნების შედეგებს, კომისია არ ხსნის ყუთს და არ ითვლის არჩევნების შედეგებს. ფაქტთან დაკავშირებით კომისიის მდივანს ინფორმაცია შეაქვს საარჩევნო ჟურნალში. აღნიშნული ინფორმაცია კომისიამ უნდა მიაწოდოს სკოლის დირექციას და სამეურვეო საბჭოს ხელახალი არჩევნების დანიშვნის მიზნით.

- ☐ საარჩევნო ბიულეტენების დახარისხებისა და დათვლის მიზნით, საარჩევნო ყუთიდან საარჩევნო ბიულეტენები თავსდება მაგიდაზე. კომისიის თავმჯდომარის მითითებით კომისიის წევრები ასრულებენ მთვლელების ფუნქციას (არანაკლებ სამი მთვლელი);
- ☐ მთვლელები საარჩევნო ბიულეტენებს ახარისხებენ კლასების მიხედვით (თუ საარჩევნო ბიულეტენები ფერადია, დახარისხება შესაძლებელია განხორციელდეს ფერების მიხედვით). ამის შემდეგ იწყება ერთ-ერთი კლასის საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება კანდიდატების მიხედვით. ამ მიზნით კომისიის თავმჯდომარე იღებს საარჩევნო ბიულეტენს, აცხადებს ვისთვისაა მიცემული ხმა და კანდიდატების მიხედვით საარჩევნო ბიულეტენს გადასცემს მთვლელებს. კომისიის თავმჯდომარე ცალკე დებს ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენებს (ასეთის არსებობისას).



დახარისხების დასრულების შემდეგ, მთვლელები ცალ-ცალკე ითვლიან კანდიდატებისთვის მიცემულ ხმებს და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას. მონაცემები კომისიის მდივანს შეაქვს შესაბამისი კლასისთვის განკუთვნილ არჩევნების შემაჯამებელ ოქმში.

შემაჯამებელი ოქმის შედგენის შემდეგ, რეკომენდებულია, კლასის საარჩევნო ბიულეტენები **შეიფუთოს კონვერტში**.

თანმიმდევრობის დაცვით, იგივე წესით ხარისხდება და ითვლება არჩევნებში მონაწილე სხვა კლასების საარჩევნო ბიულეტენები. დათვლილი შედეგები აისახება შესაბამისი კლასისთვის განკუთვნილ არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში.

ყურადღება!

საარჩევნო ბიულეტენების დახარისხების პროცესში კომისიამ უნდა გაითვალისწინოს, რომ საარჩევნო ბიულეტენი **უდავოდ ბათილია**, თუ:

- ✓ არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატი;
- ✓ შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატი;
- ✓ გადახაზულია ყველა კანდიდატი.

შენიშვნა: იმის გათვალისწინებით, რომ რეგისტრატორის ფუნქცია მოიცავს საარჩევნო ბიულეტენის ხელმოწერით დამოწმების პროცედურას, რეკომენდებულია ბიულეტენის ბათილობის საფუძვლად ასევე განიხილებოდეს ისეთი შემთხვევა, თუ დახირისხების პროცესში აღმოჩნდება, რომ ბიულეტენი არ არის დამოწმებული რეგისტრატორის ხელმოწერით.

საარჩევნო ბიულეტენი ნამდვილია, თუ აშკარად იკვეთება ამომრჩევლის ნება ერთი რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ.

თუ კომისია საარჩევნო ბიულეტენს მიიჩნევს **საეჭვოდ**, საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობის/ბათილობის საკითხს წყვეტს კომისია ხმათა უმრავლესობით.

კომისიის მდივანს თითოეული კლასისთვის განკუთვნილ შემაჯამებელ ოქმში შეაქვს ქვემოთ მოცემული ყველა მონაცემი:

- ☐ სკოლის დასახელება და კლასი;
- ☐ საარჩევნო სიაში არსებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა;
- ☐ არჩევნებში მონაწილე მოსწავლეების საერთო რაოდენობა (იგულისხმება ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა სიაში);
- ☐ თითოეული კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა;
- ☐ ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
- ☐ გამარჯვებული კანდიდატის სახელი და გვარი.

ყურადღება! გამარჯვებულია ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს სხვებზე მეტ ხმას. თუ არჩევნებში მონაწილეობს ერთზე მეტი კანდიდატი და საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატებმა დააგროვეს თანაბარი ხმების რაოდენობა, ამ შემთხვევაში კომისიამ აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიაწოდოს სკოლის დირექციას და სამეურვეო საბჭოს ხელახალი არჩევნების დანიშვნის მიზნით.

კლასების მიხედვით შედგენილ თითოეულ შემაჯამებელ ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. კომისიის მდივანი ოქმზე უთითებს მისი შედგენის თარიღს (დღე, თვე, წელი). ხელმოწერილი ოქმები საარჩევნო პროცესის დასრულებისთანავე საჯაროობისთვის უნდა გამოიკრას საარჩევნო-საინფორმაციო დაფაზე. შემაჯამებელი ოქმის გამოკვრისთანავე გამარჯვებული კანდიდატი ითვლება კლასის წარმომადგენლად მოსწავლეთა თვითმმართველობაში.